



## ბრძანება

N 247  
27/05/2022

### ელისაბედ ბუჩუკურისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) არსებული ინფორმაციით ელისაბედ ბუჩუკური (შემდგომ - აუდიტორი) რეგისტრირებულია აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-821384, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბროსეს ქ. N2).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორის შესახებ ასახული უნდა იყოს ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან (არადაქირავებული) მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია.

„ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო განაცხადის „მე-10 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია, ბოლო 3 წლის განმავლობაში პროფესიული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ“. ხოლო წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიტორი ვალდებულია აუდიტორული საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელების შემთხვევაში, არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წლის განმავლობაში არ მიუღია შემოსავალი, ვალდებულია შესაბამის გრაფაში ასახოს ციფრი „0“. კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.“

კანონის VII თავით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილება სამსახურისათვის შინაგანი რწმენის გამოყენების მეტ შესაძლებლობას იძლევა - სანქცია შეფარდებულ იქნეს კანონის პირდაპირი მიზნებისათვის, ამ ფარგლებში კი, დაცულ იქნეს როგორც საზოგადოების ინტერესი, რომელიც მოელის მაღალი რეპუტაციის მქონე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ გასაჯაროებულ სანდო ინფორმაციას, ასევე, გათვალისწინებულ იქნას აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა რესურსი და მათ სამომავლო საქმიანობაზე სანქციის გავლენა. კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია ზოგადად აუდიტის სფეროში, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ სანქციის სახით წერილობითი გაფრთხილების, საჯარო გაფრთხილების, ფულადი

ჯარიმის, რეგისტრაციის გაუქმების, საქმიანობის აკრძალვის გამოყენების შესაძლებლობა, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, კერძოდ, კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა იწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე. შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევას.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა პირდაპირპროპორციულია საზოგადოებაში აუდიტის პროფესიის მიმართ ნდობის არსებობასთან. რეესტრი საჯაროა და მესამე პირებისთვის უზრუნველყოფილია აუდიტორების/აუდიტორული ფირმების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სამსახური რეესტრში არსებულ ინფორმაციების საფუძველზე მართავს რისკს, მათ შორის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებულ რისკებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობით აუდიტორთა და აუდიტორულ ფირმათა რეესტრი წარმოადგენს ერთადერთ სივრცეს, სადაც სფეროში მოღვაწე პირები შემოსავლების შესახებ ინფორმაციების გასაჯაროვებით უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის მათი გამოცდილების შესახებ, სამსახურის ვებგვერდი აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა აღრიცხვისა და საცნობარო მნიშვნელობისაა, რომელიც საზოგადოების მიმართ იწვევს სამართლებრივ შედეგს. რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ქმნის მეწარმე სუბიექტის მოლოდინს ყველა ინფორმაცია იყოს სანდო. გარდა შემოსავლების შესახებ ინფორმაციებისა, აუდიტორები/აუდიტორული ფირმები ასევე ვალდებული არიან სხვა სახის ინფორმაციები მუდმივად განახლონ 5 სამუშაო დღის ვადაში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეესტრში ინფორმაციების განახლების მნიშვნელობას.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორი ვალდებული იყო 2021 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ განახლებული ინფორმაცია სამსახურისთვის წარედგინა 2022 წლის 1 აპრილამდე. სამსახურის მიერ, კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის ფარგლებში, აღნიშნული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, გატარდა პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, აუდიტორების/აუდიტორულ ფირმების ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ იქნა გამაფრთხილებელი შეტყობინებები და ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ვებგვერდზე.

მიუხედავად სამსახურის ძალისხმევისა რაც გამოიხატა კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სანქციების ტოლფას პრევენციული ღონისძიებების გატარებაში (გამაფრთხილებელი შეტყობინებების გაგზავნასა და ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციის სამსახურის ვებგვერდზე [www.saras.gov.ge](http://www.saras.gov.ge) განთავსებაში), აუდიტორის მიერ 2021 წელს მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით, კერძოდ, 2022 წლის 04 აპრილს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (განცხადების სამსახურში რეგისტრაციის N58615/16). აქედან გამომდინარე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, შიდამეთოდოლოგიურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა სამომავლო საქმიანობაზე სანქციის გავლენის გათვალისწინებით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციის შესაბამისი ოდენობა.


„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ელისაბედ ბუჩუკური დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ.ადმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

თორნიკე მაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) -მ.შ  
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

